სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 0307/01

(CPV 80411000 გამარტივებული შესყდივა მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით და მეორეს მხს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია" წარმოდგენილი დირექტორის მევლუდ მელაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი" – იურიდიული პირი, კავშირი, აჯარო სამართლის იურიდიული პირი, ააიპ, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს ან უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი
შემსყდიველთან მძღოლის პოზიციაზე დასაქმებულ თანამშრომელთა, ან მძღოლის ვაკანტურ პოზიციაზე აპლიკანტთა ავტომობილის მართვის უნარის და შესაძლებლობების შემოწმება/ტესტირება და შესაბამისი დასკვნის/რეკომენდაციის მომზადება.

3. მომსახურების აღწერა
3.1 პირველ ეტაპზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს აპლიკანტების სპეციალური ტესტირებას;
3.2 შემდგომ ეტაპზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს აპლიკანტის მიერ ავტომობილის მართვის უნარების შემოწმებას პრაქტიკული ტესტირების საშუალებით.
3.3 ტესტირებისათვის საჭირო ადგილით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, საკანცელარიო ნივთებით და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფას მოახდენს მიმწოდებელი;
3.4 ავტომობილის მართვის პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფას მოახდენს მიმწოდებელი (მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი ავტომობილის დაქირავებას);
3.5 ტესტირების დასრულების შემდგომ მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის აპლიკანტთა შედეგებს/რეიტინგებს, თითოეულის შედეგებს და ასევე წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.
3.4 ტესტირების ჩატარების ადგილია, მიმწოდებლის მისამართი.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მომსახურების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 1 900 (ერთი ათას ცხრაასი) ლარი, რომლის სრულად გადახდის ვალდებულება არ ეკისრება შემსყიდველს. ასანაზღაურებელი ჯამური თანხა გამოითვლება ხელშეკრულების 5.3 მუხლის შესაბამისად.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ასევე მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ამასთან ხელშეკრულების ჯამური ღირებულება თანხა არ მოიცავს დღგ-ს.

4.3 1 (ერთი) აპლიკანტის ტესტირების ღირებულებაა: 150 (ასორმოცდაათი) ლარი გადასახადების ჩათვლით, მათ შორის დღგ;

4.4 პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო ავტომობილის 1 (ერთი) დღით დაქირავების ღირებულებაა 150 (ასორმოცდაათი) ლარი. ავტომობილის დაქირავების ღირებულებაში შედის საწვავის ხარჯიც.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3 ანგარიშსწორება იწარმოებს მიმწოდებლის მიერ შემოწმებული თანამშრომლების ან აპლიკანტების რაოდენობისა და ავტომობილის ქირავნობის დღეების მიხედვით - მიღება ჩაბარების აქტში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად.

მაგალითისათვის: *პირველ დღეს მიმწოდებელმა შეამოწმა 3 აპლიკანტი, ხოლო მეორე დღეს 4 - აქედან გამომდინარე ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლა მოხდება შედეგნაირად: 2 დღე X 150 ლარი + 7 ადამიანი X 150 ლარი = 1 350 ლარს.*

6. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების გაწევას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 ივლისის ჩავლით. გამოცდის და ტესტირების ჩატარების დრო დამატებით შეთანხმდება მხარეებს შორის ზეპირსიტყვიერად.

7. სტანდარტები და გარანტია

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების გაწევას.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნახაზის დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესები და ნორმები, როგორც ქალაქში ავტომობილით გადაადგილებისას ასევე მძღოლის თუ აპლიკანტის პრაქტიკული გამოცდისას.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

8.1.2. მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურებასრული მოცულობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება კომისიის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსს რევაზ მორგოშიას, ასევე კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს თამარ ბოკუჩავას. რომლებიც არ იმყოფებიან მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

9.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება/ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის უფლებამოსილება ენიჭება კომისიის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსს რევაზ მორგოშიას.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 მხარეები თანხმდებიან, რომ აპლიკანტის ან შემსყიდველის თანამშრომლის მიერ პრაქტიკული გამოცდისას ავტომობილის დაზიანება გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით, განზრახ ან უნებლიედ არ იწვევს შემსყიდველის პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებაზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

11.6. ამ მუხლის 11.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

12. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები და მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაკონტროლებელი პირები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია'' მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18 საიდ. კოდი: 204953050 სს ,,თი ბი სი ბანკი'' ა/ა: GE11TB0600000000609326 კომისიის თავმჯდომარე: კახი ბექაური	შპს საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონი, წყაროს ქ.N 29 საიდ. კოდი: 402069006 სს „თიბისი ბანკი“ ა/ა GE26TB7024736020100011 დირექტორი : მევლუდ მელაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსის რევაზ მორგოშიას სახით. და მეორე მხრივ შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია" წარმოდგენილი მისი დირექტორის მევლუდ მელაძის სახით, ვადგენთ წინამდებარე მიღება / ჩაბარების აქტს, მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2019 წლის 3 ივლისს გაფორმებული N0307/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით განახორციელა აპლიკანტების ტესტირება და პრაქტიკული გამოცდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის კუთხით. მომსახურების ღირებულება კომპონენტების მიხედვით შემდეგნაირია:

1. ჯამურად განხორციელდა 7 მძღოლის გამოცდა, ერთეულის ღირებულება შეადგენს 150 ლარს, ჯამი 1050 ლარი.
2. ავტომობილის ქირავნობა 2 დღით საწვავის ხარჯის ჩათვლით, ერთეულის ფასი 150 ლარი, ჯამი 300 ლარი.

მიმწოდებელზე ჯამურად გადასახდელი თანხა შეადგენს 1 350.00 (ათას სამასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე.

ჩააბარა

მ. მელაძე

ჩაიბარა

რ.მორგოშია

მიღება / ჩაბარების აქტის შედგენის თარიღი: „5" ივლისი 2019 წელი.